პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 46 (1060) | სამშაბათი, 16 აპრილი, 1957 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 30 კაპ.



ამას წინათ პარიზში დამთავრდა გაზეთ „იუმანიტეს" სახელობის კროსი, რომელშიც გამარჯვებული გამოვიდა საბჭოთა მძლეოსანი ვ. კუცი.

სურათზე: შუაში — ვ. კუცი, მარცხნივ — პოლონელი ბ. კშიშკოვსკი, მარჯვნივ — საბჭოთა მორბენალი გ. ბასალაევი.

ფოტო ინტერკონტინენტალის სააგენტოსი.

ვ. ხაცკევიჩი

ქართველი მოსკოველები

ღრუბლებში აჭრილ გმირთა სახეს
თოვლი ასველებს,
და ცივი ქარი წივის, ღმუის
გამძვინვარებით.
იქნება წუთით მოაგონდათ
ქართველ მთამსვლელებს
მშობელი ქვეყნის მწვერვალები
და მყინვარები...
დაცხრა პამირი დაპყრობილი, დადარდიანდა.
მწვანე ხევებში ხმა გაფრინდა ფრთამალი ფიქრზე,
ქვეყნებს აუწყა გამარჯვება ადამიანთა:
„პირველი ხალხი ავიდაო მოსკოვის პიკზე!"
ვინც ადიოდა,
არ შეუდრკა
უფსკრულთა სუნთქვას,
ვინც ხელს უწვდიდა განსაცდელში მეგობარს და ძმას,
არც კი ეცხოვროს
არასოდეს
მოსკოვში თუნდაც, —
მას შეიძლება
მოსკოველი
უწოდოს კაცმა.

თარგმნა ა. გელოვანმა.

მშვიდობის ველორბოლის წინ

სტარტი მიეცემა 2 მაისს

1948 წელს ჩეხოსლოვაკიის გაზეთის „რუდე პრავოსა" და პოლონეთის გაზეთის „ტრიბუნა ლიუდუს" ინიციატივით მოეწყო საერთაშორისო საველოსიპედო შეჯიბრება, რომელსაც ეწოდა „მშვიდობის ველორბოლა". მოგვიანებით ამ ორ ორგანიზატორს შეუერთდა გერმანული გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" და ველორბოლამ მოიცვა სამი სახელმწიფო — ჩეხოსლოვაკია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და პოლონეთი. ამჟამად ველორბოლამ ისეთ დიდ პოპულარობას მიაღწია, რომ საორგანიზაციო კომიტეტი იძულებული გახდა შეემცირებინა შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების რაოდენობა.

ამას წინათ საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე საბოლოოდ დამტკიცდა „მშვიდობის ველორბოლის" ტრასა. იგი დაყოფილია 14 ეტაპად: 2 მაისს შედგება პირველი ეტაპი — პრაღა-ბრნო (204 კმ), 3 მაისს შემდეგი ეტაპი—ბრნო-ტაბორი (117 კმ), 4 მაისს — ტაბორი-პრაღა (160 კმ), 5 მაისს — პრაღა-კარლოვი ვარი (174 კმ), 6 მაისს — დასვენების დღეა. 7 მაისს — კარლოვი ვარი-კარლ მარქსშტადტი (150 კმ), 8 მაისს — კარლ მარქსშტადტი-ლეიპციგი (161 კმ), 9 მაისს — ლეიპციგი-ბერლინი (195 კმ), 10 მაისს — ბერლინი-გერლიცი (225 კმ), 11 მაისი დასვენების დღეა. 12 მაისს — გერლიცი-ვროცლავი (188 კმ), 13 მაისს — ვროცლავი-კატოვიცე (190 კმ), 14 მაისს კატოვიცე-ლოძი (215 კმ), 15 მაისს ლოძი-ვარშავა (140 კმ).

ყოველი ეტაპის შემდეგ 15 საუკეთესო ველოსიპედისტი და 3 უძლიერესი გუნდი დაჯილდოვდება პრიზებით. ვარშავაში ჯილდოს მიიღებს 40 საუკეთესო ველოსიპედისტი. დანარჩენ სპორტსმენებს, რომლებიც დაამთავრებენ რბოლას გადაეცემა ბრძოლის თასები. პრიზები გადაეცემა აგრეთვე 5 ველოსიპედისტს, რომლებიც საუკეთესო შედეგებს აჩვენებენ სამთო გზებზე.

ინგლისელები ემზადებიან

ოლიმპიურ თამაშებზე მელბურნში ინგლისელმა ველოსიპედისტებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. მათ გუნდურ ჩათვლაში დაიკავეს მეორე ადგილი, ხოლო ჯეკსონმა მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. ინგლისის ნაკრების შემადგენლობა მშვიდობის ველორბოლაში უკვე განსაზღვრულია. ძირითად ბირთვს გუნდში წარმოადგენს ორი ოლიმპიელი სპორტსმენი ბრიტენი და ჯეკსონი. მათთან ერთად გამოვლენ სანდერსონი და ბლოუერი, რომლებსაც მრავალდღიან ველორბოლებში გამოსვლის დიდი გამოცდილება აქვთ. ამ ოთხ სპორტსმენთან ერთად ნაკრები კოლექტივის ანსამბლს ავსებენ ახალგაზრდა ველოსიპედისტები გაფი და რეი.

ვინ გამოვა სტარტზე

გასულ წელს საბჭოთა ველოსიპედისტებმა პირველად გაიმარჯვეს მშვიდობის ველორბოლაში. ჩვენს სპორტსმენებს გადაწყვეტილი აქვთ პირველობა არც წელს დათმონ. შავი ზღვის სანაპიროზე ჩატარებულმა შეჯიბრებამ გამოავლინა საბჭოთა კავშირის ნაკრების მონაწილენი.

ვინ დაიცავს ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას მშვიდობის ველორბოლაში? პირველ რიგში გასული წლის ჩემპიონები, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. კოლუმბეტი (კიევიდან), ვ. ვერშინინი, ე. კლევცოვი (ორივე მოსკოვი), პ. ვოსტრიაკოვი (ლენინგრადი). მათთან ერთად ველორბოლაში პირველად გამოვლენ არმიელები ვ. კაპიტონოვი და ა. ჩერეპოვიჩი. სათადარიგო შემადგენლობაში მოხვდნენ ა. პოდიაბლონსკი და პ. კოლედოვი (ორივე მოსკოვი).

გზა ყველასათვის ხსნილია!

✪

საუბარი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე

ამხ. მ. ბოდნერაშთან

✪

„სოვეტსკი სპორტის" თხოვნით რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ბოდნერაშმა პასუხი გასცა რამდენიმე შეკითხვაზე:

შეკითხვა: სპორტის რომელ სახეობებში აპირებენ რუმინელები გამოსვლას III საერთაშორისო თამაშებზე.

პასუხი: ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ ყველა შეჯიბრებაში, გარდა მშვილდოსრიდან სროლასა და ბალახის ჰოკეიში.

შეკითხვა: სპორტის რომელ სახეობაში გაქვთ მაღალი მედლების მოპოვების იმედი.

პასუხი: დიდ იმედებს ვამყარებთ ხელბურთელ ქალთა გუნდზე და აგრეთვე ფრენბურთელებზე, მოკრივეებზე, ნიჩბოსნებსა და რეგბისტებზე. კარგი შთაბეჭდილება უნდა დატოვონ მოფარიკავე ქალებმა, მაგიდის ჩოგბურთელებმა და ტანმოვარჯიშეებმა. ზემოჩამოთვლილ სახეობებში გამოვლენ მოფარიკავე ორბანი, რომელმაც XVI ოლიმპიურ თამაშებზე მეორე ადგილი დაიკავა, ოლიმპიური ოქროს მედალოსნები ნიჩბოსნები — როტმანი, დუმიტრუ, იზმაილჩუკი, რუმინეთის საუკეთესო ტანმოვარჯიშე ლეუშტიანუ, რომელმაც მელბურნში მეოთხე ადგილი დაიკავა და სხვ.

შეკითხვა: როგორ ემზადებით თამაშებისათვის.

პასუხი: მოსკოვის სპორტულ თამაშებს ჩვენთან წინ უსწრებდა მრავალრიცხოვანი შეჯიბრებები. ქალაქებსა და სოფლებში სტარტზე გამოდიან მოსწავლეები, სტუდენტები, თავიანთ ძალებს ცდიან ახალგაზრდა მუშები, გლეხები. განსაკუთრებით ფართო მუშაობაა გაჩაღებული ბუქარესტის მსხვილ საწარმოებში — 23 აგვისტოს სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში, ქალაქ სტალინის მანქანათმშენებელ ქარხანაში. აქ წვრთნა და შეჯიბრებები ტარდება შემდეგი ლოზუნგით: „მესამე საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშებისაკენ გზა გახსნილი აქვს ყველას! მიაღწიე მაღალ შედეგს და შენ გაემგზავრები მოსკოვს!".

ვატარებთ აგრეთვე საერთაშორისო შეხვედრებს. ასე მაგალითად: ნორჩ ფეხბურთელთა გუნდი გაემგზავრა ესპანეთში ჭაბუკთა ევროპის პირველობაში მონაწილეობის მისაღებად, მაისში მოეწყობა ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის გუნდებთან ამხანაგური შეხვედრები რეგბში. გაიმართება აგრეთვე მოკრივეთა რამდენიმე საერთაშორისო მატჩი.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტში

8 აპრილს გაიმართა ახალგაზრდობის მესამე საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მორიგი სხდომა, რომელზეც მოსმენილ იქნა ინფორმაცია სპორტული ნაგებობების მომზადებისა და თამაშების პროგრამის შესახებ. შემდეგ სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს განცხადება თამაშებში სხვადასხვა ქვეყნების ნაციონალური სპორტული ორგანიზაციებისა და კლუბების მონაწილეობის შესახებ.

გამოირკვა, რომ თამაშებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ოქსფორდის უნივერსიტეტის (ინგლისი) კალათბურთელთა გუნდმა, დასავლეთ გერმანიის მოკრივეთა კლუბმა „რინგმა", კალკუტის წყალბურთელთა ცენტრალურმა კლუბმა, პაკისტანის ფრენბურთელებმა, ავსტრალიის მძლეოსნებმა და სხვ. ახალგაზრდობის III თამაშებში მონაწილეობის მისაღებად მოელიან ასამდე უცხოელ მსაჯს.

საორგანიზაციო კომიტეტმა განიხილა აგრეთვე პრესცენტრის შექმნის საკითხი.

იგორ პეტრენკოს რეკორდი

გასულ კვირას კიევში ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის რესპუბლიკურ სტადიონზე, ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩის საყურებლად მოსული მრავალრიცხოვანი მაყურებელი მძლეოსნობაში ახალი საკავშირო რეკორდის დამყარების მოწმე გახდა.

ახალგაზრდა კიეველმა მძლეოსანმა, სტუდენტმა იგორ პეტრენკომ ჰოკით ხტომაში აჩვენა შედეგი 4 მ 20 სმ. ეს შედეგი ახალი საკავშირო რეკორდია 17-18 წლის ჭაბუკებს შორის.

გ. გოგეჯიშვილი პროფკავშირების ჩემპიონია

ტალინი. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ ოთხ დღეს გრძელდებოდა პროფკავშირების საკავშირო პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდა 15 სპორტული საზოგადოების 170-მდე სპორტსმენი, მათ შორის 36 სპორტის ოსტატი და 130 პირველთანრიგოსანი.

აღსანიშნავია, რომ წინა შეჯიბრებებთან განსხვავებით ამ პირველობის მონაწილენი მხოლოდ სუფთა გამარჯვებისკენ მიისწრაფოდნენ და ამიტომ უხვად იყენებდნენ სპორტის ამ სახეობის მდიდარ ტექნიკას. ამან თავის ნაყოფი გამოიღო. 186 ორთაბრძოლიდან უმრავლესობა სუფთა გამარჯვებით დამთავრდა.

გასულ პირველობაში ყველაზე საინტერესო იყო საშუალო წონის მოჭიდავეების, ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონის ა. აგაბეკიანისა და ქართველი სპორტსმენის, ამავე სპარტაკიადის პირად პირველობაში გამარჯვებულის გ. გოგეჯიშვილის შეხვედრა, რომელსაც უნდა გამოევლინა პროფკავშირების ჩემპიონი. გოგეჯიშვილმა ეს შეხვედრა ჩაატარა მაღალი ოსტატობით და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

პროფკავშირების ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: მამედბეკოვი („ბურევესტნიკი"), კაშკინი („კალევი"), მიტუსი („კალევი"), სინიავსკი („ლოკომოტივი"), ბეკმურზოვი („ბურევესტნიკი"), გოგეჯიშვილი („ბურევესტნიკი"), ნიჟარაძე („ბურევესტნიკი"), რანდი („კალევი").

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა „ბურევესტნიკმა", მეორე—„კალევმა", მესამე—„ლოკომოტივმა".

ი. ალიხანოვი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.



ჩვენს ხალხს ბევრი საგულისხმო და საინტერესო თამაში აქვს, რომლებზეც იზრდებოდა ჩვენი მამა-პაპა. თამაშების შეკრება-დაზუსტებისათვის ბევრმა ჩვენმა ინტელიგენტმა არ დაიშურა შრომა და ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაიწყო თამაშების გამოქვეყნება.

სამწუხაროდ, დღეს ბევრი ჩვენი ძველი თამაში თანდათან მივიწყებას ეძლევა და უფრო მეტიც, დევნასაც კი განიცდის. ლიტონ სიტყვად რომ არ ჩამოგვართვან, პირველად ლახტს დავასახელებთ.

ეს თამაში მოითხოვს სისწრაფეს, სპორტულ ალღოს, გამბედაობასა და გონებამახვილობას. იმის ნაცვლად, რომ ხელი შევუწყოთ მის პოპულარიზაციას, ბევრი მშობელი, სკოლის დირექტორი და ფიზკულტურის მასწავლებელიც კი უკრძალავს ბავშვებს მის თამაშს.

გრძელი ზურგი, წრეზურგობია, თავზე გადახტომა და სხვა თამაშებიც, რატომღაც არ ითვლება მაინცდამაინც რეკომენდებულად და მათ მეტწილად მშობლები ქუჩის თამაშებადაც კი თვლიან.

ამას წინათ გორის მე-4 საშუალო სკოლის პიონერულმა ორგანიზაციამ ძალზე საგულისხმო და მისაბაძი ღონისძიება წამოიწყო. ქართულ ხალხურ თამაშებში ლახტში, წრეზურგობანასა და ნიშხა-ნიშხაში რაზმეულის შეჯიბრება ჩაატარა.

ჯერ კლასებს შორის მოეწყო შეჯიბრება, შემდეგ ნაკრები გუნდები შეარჩიეს. მსაჯთა კოლეგია უფროს კლასებისაგან შედგა. ამ წამოწყებას უფროსი პიონერხელმძღვანელი ზეინაბ ჩიხლაძე და ფიზკულტურის მასწავლებელი ოთხებ ქუმელაშვილი ჩაუდგნენ სათავეში.

უჩვეულო აზარტით მოჰკიდეს პიონერებმა საქმეს ხელი. ეს დღე ნამდვილ დღესასწაულად აქციეს, იყო ყიჟინა და შეძახილები, გუნდები ასაკის მიხედვით გამოიყვანეს.

ლახტში გამარჯვებული მე-6 კლასელები გამოვიდნენ. წრეზურგობასა და ნიშხა-ნიშხაში მე-7 კლასელებმა გაიმარჯვეს. უფროსი ასაკის გამარჯვებულ გუნდებს რაზმეულის სიგელები გადაეცათ, უმცროსებს კი წიგნებით დაასაჩუქრეს.

გორელების ამ მისაბაძ წამოწყებას აუცილებლად უნდა გამოეხმაურონ ფიზკულტურის მასწავლებლები და პიონერხელმძღვანელები.

რ. დვალიშვილი

• • •

სურათებზე: გორის მე-4 საშუალო სკოლაში თამაშობენ ლახტსა (მარცხნივ) და ნიშხა-ნიშხას.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

აიმწაკაჩარა

◆

ძველი აფხაზური ხალხური თამაში

◆

უძველესი აფხაზური თამაშია აიმწაკაჩარა. არც ერთი სახალხო ზეიმი არ ტარდებოდა ისე, რომ აიმწაკაჩარა არ გათამაშებულიყო. აიმწაკაჩარა ბურთის თამაშია, რომელიც ლელოს მოგვაგონებს, მაგრამ მისგან ძირეულად განსხვავდება. სიტყვა „აიმწაკაჩარა“ ნიშნავს ბურთისათვის ბრძოლას.

სათამაშო ინვენტარს წარმოადგენს ბურთი და ორი ჯოხი (გადმოცემის სახით, როგორც ტარდებოდა მე-18, მე-19 და მე-20 საუკუნეთა ოციან წლებამდე). ბურთი მზადდებოდა პირუტყვის ტყავისაგან. უფრო ხშირად ეს იყო ცხვრის ან თხის ტყავი. ფორმით ის მრგვალია და მუშტის ოდენა. ჯოხი კი ყოველ გუნდში თითო მოთამაშეს ჰქონდა — გუნდის წამყვანს ან უფრო სწორად, თამაშის დამწყებს.

აიმწაკაჩარას თამაშობდნენ 10, 15 და 100-ზე მეტ კაცამდე, მოთამაშეთა რაოდენობა გუნდებში ზოგჯერ არათანაბარი იყო. თუ თამაში ერთი სოფლის გუნდებს შორის ტარდებოდა, მაშინ გუნდებში მოთამაშეთა თანაბარი რაოდენობა უნდა ყოფილიყო. მაგრამ თუ თამაში ცალკეულ გვარებს, სოფლებს, მდინარის მოპირდაპირე ნაპირებზე მცხოვრებთ შორის მიმდინარეობდა, მაშინ გუნდებში მოთამაშეთა რაოდენობა არ იყო თანაბარი.

აფხაზეთის თითქმის ყოველ სოფელს ჰქონდა საკმაოდ დიდი მოედანი, სადაც იმართებოდა სახალხო ზეიმი, შეჯიბრება ცხენოსნობასა და სხვა ხალხურ თამაშებში, მაგრამ აიმწაკაჩარას სათამაშო ადგილი ხშირად ამ მოედნებს ცილდებოდა და სიგრძით ორ კილომეტრსაც აღემატებოდა. ეს იმ დროს ხდებოდა, როდესაც სოფელი სოფელს ან გვარი გვარს ეჯიბრებოდა. ამიტომ ხშირად ბრძოლა ბურთისათვის იმართებოდა ორღობეებს შუა, უსწორმასწორო ადგილებში, მდინარის პირას. ყოფილა შემთხვევა, როდესაც შიგ მდინარეშიც გამართულა ბრძოლა ბურთისათვის.

თამაშის შინაარსი შემდეგში მდგომარეობს:

მოედნის შუაში მოწინააღმდეგე გუნდები დგებიან პირისპირ გაფანტულად. მოედნის ცენტრში დგებიან თამაშის დამწყებნი თითო გუნდიდან თითო კაცი ჯოხით ხელში (თამაშის დამწყებად გუნდები ირჩევენ ჩვეულებრივად 40-45 წლის კაცს, რომელიც ცნობილია ზუსტი დარტყმით, მოქნილობით, სისწრაფით და თამაშისათვის საჭირო ეშმაკობით). თამაშის დაწყების წინ კენჭისყრით დგინდება თუ ვის ეკუთვნის ბურთი ასაგდებად. ამის შემდეგ თამაშის დამწყებნი ერთმანეთის გვერდით, ერთი ნაბიჯის სიახლოვეს დგებიან. ერთი ბურთს მაღლა აგდებს, შემდეგ თვითეული მათგანი ცდილობს ჯოხით გაუგდოს ბურთი თავისი გუნდის წევრებს. თუ კი ვერცერთმა მათგანმა ჯოხი ვერ მოარტყა ბურთს (თუმცა ეს გამონაკლისი შემთხვევაა), მაშინ ბურთს ხელმეორედ ააგდებენ, მაგრამ ამჯერად მოწინააღმდეგე გუნდის წარმომადგენელი. ასე გრძელდება, ვიდრე ბურთს არ მოარტყამენ ჯოხს. შემდეგ მოთამაშე, რომელიც დაიჭერს ბურთს, მიაქვს იგი ამპისაკენ, ე. ი. დანიშნული ადგილისაკენ, სადაც უნდა გაიტანონ ბურთი.

ბურთის ამპისაკენ წაღება ძალზე ძნელია, ვინაიდან მოთამაშეს არა აქვს უფლება ბურთი სხვას გადასცეს. გუნდის წევრებს აქვთ უფლება ალყა შემოარტყან თავიანთი გუნდის მოთამაშეს, რომელსაც ბურთი მიაქვს, არ შემოუშვან მასთან მოწინააღმდეგე, თანდათან წინ წაიწიონ და შემდეგ როგორმე ჩუმად გააპარონ იგი, ან აღუმართონ „კედელი“ მოწინააღმდეგეებს და არ მისცენ საშუალება გაარღვიონ დაცვის ხაზი, რათა არ დაეწიონ ბურთიან მოთამაშეს. მოწინააღმდეგე გუნდის ამოცანას წარმოადგენს დაეწიოს მოთამაშეს, წაართვას ბურთი და თვითონ გაიტანოს მოწინააღმდეგის ამპაში. თამაშის წესით დაშვებულია ბურთიანი მოწინააღმდეგის დაჭერა, ფეხის დადება და წაქცევა.

თუ კი ბურთიანი მოთამაშის დაჭერის შემთხვევაში მოწინააღმდეგე ვერ ახერხებს ბურთის წართმევას და ბურთისათვის ბრძოლა გრძელდება ერთ ადგილას (სადაც თითქმის ყველა მოთამაშე ერთად იყრის თავს), მაშინ ბურთი იქვე უნდა ააგდონ იმავე წესით, როგორც დასაწყისში, მხოლოდ ამჯერად ბურთს ააგდებს იმ გუნდის წარმომადგენელი, რომელმაც დაიჭირა ბურთიანი მოთამაშე (თამაშის დამწყებთ მხოლოდ ბურთი შეჰყავთ თამაშში, შემდეგ ისინი თამაშში მონაწილეობას არ იღებენ). გამარჯვებულად ითვლება ის გუნდი, რომელიც ბურთების მეტ რაოდენობას გაიტანს. თამაშის დრო ზუსტად განსაზღვრული არ იყო. თამაშის წინ დათქვამდნენ თუ როდის შეწყვეტდნენ თამაშს მზის გადახრამდე, ჩასვლამდე და ა. შ. თუ თამაში ფრედ დამთავრდებოდა, ის მომავალ კვირას ან რომელიმე ახლო დღესასწაულის დროს გაგრძელდებოდა. ასპარეზობა ამ სახეობაში თითქმის ყოველ კვირას იმართებოდა, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებიდან თავისუფალ დროს.

აიმწაკაჩარას თამაშისათვის ბურთს წინასწარ ამზადებდნენ, ეს ხდებოდა შემდეგნაირად: სოფელში ახლადმოყვანილ პატარძალს დაავალებდნენ აიმწაკაჩარასათვის სათამაშო ბურთის დამზადებას. ეს დავალება პატარძალს დიდ საპატიო საქმედ მიაჩნდა. პატარძალს ტრადიციის თანახმად ბურთში ფული უნდა ჩაეტანებინა, რომელიც მოგებულ გუნდს ერგებოდა. ამიტომ ყოველთვის მდიდარ პატარძალს ირჩევდნენ ხოლმე. პატარძალი თავის მხრივ ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ფული ჩაეტანებინა, რაც მას სახელს უხვეჭდა სოფელში.

დიდი სამამულო ომის შემდგომ წლებში რამდენჯერმე გაიმართა შეჯიბრება აიმწაკაჩარაში. მაგრამ დღემდე არსებული წესი მთელ რიგ შესწორებებს მოითხოვს დღევანდელი პირობების შესაბამისად.

ო. ვახანია,
მ. ა. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიის და მეთოდიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

ნახ. ა. კანდელაკისა.



ასე გაატარა ბავშვობა.

ასე ატარებს ჭაბუკობას.

ჩვენი მკითხველები გვწერენ

◆

სად შევიძინოთ?

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი ემზადება სეზონის გახსნისათვის. მაგრამ უნდა ითქვას, რომ სპორტული ნაგებობის მოსაწყობად აქ არავითარი საშუალება არ არსებობს. შესაძლებელია მხოლოდ მაგიდის ჩოგბურთისათვის ადგილის გამონახვა.

ამ მიზნით ჩვენ მივმართეთ ქალაქის ფიზკულტურის კომიტეტს, „დინამოს“ სპორტიარაღების ქარხანას, ფანერის ქარხანას, მაგრამ ამაოდ. დრო გადის, პირველი მაისისათვის პარკი მზად უნდა იყოს სეზონის გასახსნელად, მაგრამ ჯერჯერობით მაგიდის ჩოგბურთისათვის ვერც ერთი მაგიდა ვერ ვიშოვეთ.

ლ. ალიხანოვი

სკოლას აგებენ... სტადიონზე

დადგა ზაფხულის სპორტული სეზონი. ფიზკულტურელებმა შეაკეთეს მძლეოსნობის სექტორები, ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები და სავარჯიშოდ დარბაზიდან ღია ბაზებზე გადაინაცვლეს, ღია ცისქვეშ ყოველდღიური ვარჯიშით იმაღლებენ მომზადების დონეს.

როგორაა ამ მხრივ საქმე ბორჯომში?

ქალაქის ერთადერთი ბაზა—სტადიონი ავარიულ მდგომარეობაშია. ზამთარში ხის ღობე სათბობად დაიტაცეს, გაპარტახდა მაყურებელთა ტრიბუნა, სარბენი ბილიკები, ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნები, საჭიდაო ორმო მწყობრიდან გამოვიდა. სპორტის გულშემატკივრები ფიქრობდნენ, რომ გაზაფხულის პირველ დღეებიდანვე სტადიონზე გაჩაღდებოდა ბაზების შეკეთების სამუშაოები. მართლაც, ამას წინათ სტადიონზე გამოჩნდა მუშების ჯგუფი, ხრეშით დატვირთული ავტომანქანები და მალე ფეხბურთის მოედანზე აღიმართა სკოლის ახალი შენობის მშენებლობისათვის საჭირო მასალათა გროვა. მოკლე ხანში ვარაუდობენ ძირითად სამუშაოთა დაწყებასაც.

ცხადია, ყოველივე ეს ხანგრძლივი პერიოდით მწყობრიდან გამოიყვანს არა მარტო ფეხბურთის მოედანს, არამედ სარბენ ბილიკებს, მძლეოსნობის სექტორებსა და კალათბურთის მოედანსაც. სადღა ივარჯიშონ ბორჯომელებმა?

ი. მუკათარიძე

გამოვლინდა 27 თანრიგოსანი

ბოლნისის რაიონის პირველი ფესტივალის სპორტულ თამაშებში 380-მდე მონაწილე გამოვიდა. აქ იყვნენ ფიზკულტურელები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმიდან, რუსული, ქართული და აზერბაიჯანულ სკოლებიდან, დარბაზის, ფახრალოს, არახლოს, აქაუტას და სხვა სოფლების წარმომადგენლები.

ფრენბურთელთა შეჯიბრება დამთავრდა „ბურევესტნიკის“ ვაჟთა და ქართული საშუალო სკოლის ქალთა გუნდების გამარჯვებით.

ქართულ მოჭიდავეთა შეხვედრებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეებმა გ. პეტრიაშვილმა, ი. ოსიშვილმა, ა. ბაინდუროვმა, ი. მჭედლიშვილმა, ბ. ფალიანმა, ა. ზაქაშვილმა და გ. ზურაბაულმა, აგრეთვე ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენელმა გ. გორდაძემ დაიკავეს პირველი ადგილები.

კალათბურთელთა შეხვედრები დამთავრდა რუსული სკოლის კოლექტივის გამარჯვებით. ტყვიით სროლაში ცეცხლის ხაზზე გამოვიდა 34 სპორტსმენი. 100-დან 95 ქულის მოგროვებით გაიმარჯვა ა. საყვარიანმა.

სპორტულ თამაშებში 27-მა მონაწილემ შეასრულა სათანრიგო ნორმატივი.

ქ. ვიურკოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტვა—საქართველო

მძლეოსანთა მატჩი



☐ ლ. ანთაძემ 100 მეტრი 10,5 წამში დაფარა. ☐ ლ. გურგენიძემ გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი სიგრძეზე ხტომაში. ☐ რ. შავლაყაძემ გადალახა ორი მეტრი სიმაღლე

კარგ ტრადიციად დამკვიდრდა სა- რთველოსა და ბალტიისპირეთის ამე რესპუბლიკების მძლეოსანთა ველწლიური მატჩები. ჩვენი რეს- უბლიკის წარმომადგენლებს უკვე ონდათ რამდენიმე ასეთი შეხვედ- ლატვიელებთან და ესტონელებ- ან, დარჩა ლიტვა. და აი, ისინიც ეწვიენ თბილისში.

დადგა მატჩის გახსნის დღე, 13 რილი. „დინამოს" სტადიონზე თავი იყარა მაყურებელმა...

დამთავრდა მონაწილეთა პარადი. ლეოსნობის სექტორებზე დაიწ- მეგობრობის მატჩი. ბრძო- აში ერთდროულად ჩაებნენ 110 მე- რზე თარჯრბენის მონაწილენი, ბა- ოს მტყორცნელი ქალები, ბირთ- ს მკვრელი ვაჟები და ჭოკით ტომელები. მოწინააღმდეგეებს გა- ჰყავდათ ორ-ორი მონაწილე.

კენჭისყრის შემდეგ 110 მეტრზე რჯრბენის მონაწილეთა შორის რბენი ბილიკები ასე განაწილდა: გ. ლექავა, II ს. ბალსისი, III გ. ინჩიძე და IV ვ. ბარაკუნასი. სტა- ტიდანვე მწვავე ბრძოლა გაჩაღდა რველ სამ ბილიკზე. ლექავამ შე- ვდომლად გადალახა ყველა თარ- , თანდათან გაასწრო წინ გა- ლ ს. ბალსისს და პირველმა აიკრა ერდზე ფინიშის ლენტი. შედეგით ,6 (გაიმეორა რესპუბლიკური რე- რდი) მან გუნდს პირველი ხუთი ქუ- მოუტანა (I ადგილისათვის გუნ- ილებდა 5 ქულას, II ადგილისათ- ს — 3 ქულას, III ადგილისათვის 2 ქულას და IV ადგილისათვის— ქულას). მართალია, ბალსისი და- ვბდა — 0,2 წამით წააგო ლექა- თან, სამაგიეროდ მისი შედეგიც 14,8 ლიტვის რეკორდის გამეო- ბაა. გ. გვინჩიძე გამოვიდა მესამე გილზე.

თარჯმრბენლები სპრინტერმა ვა- ბმა შეცვალეს. შესანიშნავი ამინდი ნაწილეებს საშუალებას აძლევდა მაოდ მაღალი შედეგები ეჩვენები- ი. მაყურებელი ფიქრობდა, რომ 0 მეტრზე რბენის სტარტზე საქარ- ელოს ღირსებას სხვებთან ერ- დ სპორტის ოსტატი ლ. სანაძეც იცავდა, მაგრამ მათ აქ მხოლოდ ა. ნიაუსკასი, ვ. ვოლუნჩევიჩუსი, ტრაპაიძე და ლ. ანთაძე შეამჩ- ს.

— „ყურადღება"! — გაისმა ძახი- ... მაყურებელთა ათასობით თვა- ოთხეულს მიაჩერდა. წამიც და... ორტსმენები ელვასავით გაქანდნენ ინისაკენ. მცირე ხანს ისინი მხარ- მხარ მირბოდნენ. მალე წინ გაიჭრ- ლ. ანთაძე და რ. ტრაპაიძე. ან- ძემ უკან ჩამოიტოვა თანაგუნდე- ც და მიმდინარე სეზონში საუკე- ოთ შედეგით დაამთავრა დის- ცია. წამზომებმა აღნიშნეს 10,5 ი. 0,3 წამის შემდეგ ფინიშთან ტრაპაიძე. ლიტველი ვ. ვოლუნჩევიჩუსი მესამე იყო — 11,3.

კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს წარმომადგენლებმა ქალთა შორის ამ დისტანციაზე რბენაში. აქ უძლიერესი იყო ა. ოვივიანი — 12,2. იმის გამო, რომ ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელი გ. ფაროლდი სტარტზე დაიბნა და საკმაოდ გვიან ჩაება ბრძოლაში, იძულებული გახდა მეოთხე ადგილით დაკმაყოფილებულიყო.

5.000 მეტრზე რბენაში ლიტველებმა გამოიყვანეს სსრ კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი 1.500 მეტრზე რბენაში, მელბურნის ოლიმპიადის მონაწილე, კაუნასის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი ი. პიპინე (მწვრთნელი ვ. ბარკალაია) და ა. ლიეპუსი. საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდნენ ი. უშაკოვი და ვ. პოზნარი. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა ი. პიპინემ — 15.19,6.

სამხრეთის ტრიბუნებთან მოწყობილ სექტორებზე დამთავრდა ქალთა და ვაჟთა შორის ბადროს ტყორცნა და ბირთვის კვრა. აქ ლიტველებმა ერთი ქულით მეტი მოიპოვეს, ვიდრე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა და ანგარიში გათანაბრდა.

ვაჟთა შორის 800 მეტრზე რბენაში გ. ტარვიდას გამარჯვებით (მეორე ადგილზე გამოსულმა ი. კრივაშეევმა შედეგით 1.53,1 საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა) შვიდი სახეობის შემდეგ წინ წავიდნენ სტუმრები, რომლებმაც 39 ქულა მოაგროვეს. მაგრამ ჭოკით ხტომაში შეჯიბრების დამთავრების შემდეგ (თ. მჭედლიშვილი და ი. შუქუროვი) საქართველოს მძლეოსნები დაწინაურდნენ. შემდეგ შუბის მტყორცნელმა ვაჟებმა და ქალებმა მოუტანეს ქულები გუნდს. ვაჟებიდან ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა ი. წულუკიძემ, ქალთა შორის გაიმარჯვა გ. ბრიტვინამ.

ალამზე, რომელიც სახტომი ორმოს კიდეს ამშვენებდა, აღნიშნული იყო ციფრი 6.92 მ — ლიტვის რეკორდი, ხოლო მეორე ალამზე — 7,15 — საქართველოს რეკორდი, რომელიც ლ. გურგენიძეს ეკუთვნოდა. პირველი ნახტომის შესრულება წილად ხვდა ბ. სამოილენკოს (საქართველო) — 6,65 მ. ლიტველმა ე. პოვილენასმა აჩვენა 15 სმ უკეთესი შედეგი. გადასახტომად მოემზადა საქართველოს რეკორდსმენი ლ. გურგენიძე. მან ენერგიულად დაიწყო გამორბენი, თანდათან უმატა სიჩქარეს და ოსტატურად აიწია არეკნის ხაზთან. ნახტომის გაზომვის შემდეგ მსაჯებმა შეჯიბრების ადგილზე გამოიძახეს მთავარი მსაჯი ბ. ღიაჩკოვი. მაყურებლებს მხედველობიდან არ გამოეპარათ ეს მოძრაობა და გურგენიძეს მქუხარე ტაშით ულოცავდნენ ახალი რესპუბლიკური რეკორდის დამყარებას, რომელმაც 1 სანტიმეტრი მოუმატა თავის ძველ შედეგს.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლების გამარჯვებით დამთავრდა აგრეთვე ქალთა შეჯიბრება სიგრძეზე ხტომაში. უროს ტყორცნაში გაიმარჯვეს ლიტველებმა. 200 მეტრზე ვაჟთა შორის ერთნაირი შედეგი 22,5 ჰქონდათ ვ. ვოლუნჩევიჩუსსა და ზ. ჯარაშნელს. ჯარაშნელი უკან იყო მკერდით. 400 მეტრზე ქალთა შორის ლიტველებმა შესწორება შეიტანეს თავიანთი რეკორდების ცხრილში. გამარჯვებულმა ლ. ზაიკინამ ეს მანძილი დაფარა 58,5-ში.

პირველი დღის 15 სახეობის შემდეგ გუნდური შედეგები ასეთი იყო: საქართველოს ჰქონდა 83 ქულა, ლიტვას — 75.

მეორე დღე დაიწყო 20 კილომეტრზე სპორტული სიარულით. დღის 3 საათი იყო. გაზაფხულის მზე ზენიტზე იდგა. ცხელოდა. ასეთ პირობებში ძნელი იყო შეჯიბრებაში ჩაბმა, მაგრამ სპორტული განრიგი მტკიცეა და მონაწილენი ხვედრს დამორჩილდნენ — სტარტზე მოეწყვნენ. ლიტველთაგან სამი მონაწილე გამოდიოდა — ხალხთა სპარტაკიადისა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი 10 და 15 კილომეტრზე სპორტულ სიარულში, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. მიკენასი და ოსტატი ბევინჩავიჩუსი (კასპარავიჩუსი გამოდიოდა კონკურსს გარეშე). საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდნენ რესპუბლიკის რეკორდსმენი 10 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ა. შჩერბინა და ნ. კალანდაძე.

ბრძოლა თავიდანვე საინტერესოდ წარიმართა. სტარტიდან ნახევარი კილომეტრის შემდეგ მძლავრი ბიძგით წინ გაიჭრნენ ნ. კალანდაძე და ა. შჩერბინა. პირველი კილომეტრი კალანდაძემ 4 წუთსა და 36 წამში დაფარა, მაგრამ ვეღარ გაუძლო მაღალ ტემპს და სვლას უკლო. კალანდაძე ჩამორჩა, ლიდერობა ხელთ იგდო ა. შჩერბინამ. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მასაც კალანდაძის ბედი ელოდა, მაგრამ ახალგაზრდა სპორტსმენმა (იგი პირველად გამოდიოდა ამ სახეობაში) შესანიშნავად ჩააბარა მძიმე გამოცდა. მიკენასი დარწმუნდა, რომ შჩერბინა არ აპირებდა კალანდაძის ბედის გაზიარებას, ტემპს მოუმატა და 4 კილომეტრის შემდეგ წამოეწია ლიდერს. შჩერბინამ ათი წრე (4 კილომეტრი) დაფარა 19 წუთში. კასპარავიჩუსი შეჯიბრებიდან გამოვიდა. სტადიონის ნახევარი წრით ჩამორჩა კალანდაძე. ახლა მხოლოდ ორი — მიკენასი და შჩერბინა იყო პირველობის ძირითადი პრეტენდენტი. მათ თითქმის ერთდროულად 23 წუთსა და 59 წამში გაიარეს 5 კმ. ტემპმა იკლო. მეშვიდე კილომეტრზე ლიდერებმა გაუსწრეს კალანდაძეს.

როცა ფინიშამდე ათი წრე იყო დარჩენილი, მიკენასმა საგრძნობლად მოუმატა ტემპს და შედეგით 1:46.28,4 ხუთი ქულა მოუმატა თავის გუნდს. შჩერბინას შედეგია 1:47.39,8.

ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთმა საუკეთესო სპრინტერმა რ. ტრაპაიძემ არც ისე დიდი ხნის წინათ დაიწყო 200 მეტრზე თარჯრბენის ტექნიკის ათვისება და უკვე საკმაო წარმატებას მიაღწია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ სახეობაში მონაწილე ორივე რესპუბლიკის რეკორდი ერთნაირია — 24,7 წ. ამ შეჯიბრებაზე ტრაპაიძემ ერთხელ კიდევ ცხადყო თავისი სიძლიერე და გაიმეორა რესპუბლიკური რეკორდი. გ. ლექავა ჩამორჩა 0,1 წამით. ს. ბალსისი იყო მესამე — 25,2.

...რ. შავლაყაძე მოგვიანებით ჩაება სიმაღლეზე მხტომელთა შეჯიბრებაში. მალე შეჯიბრებას გამოაკლდა მაღლაფერიძე, ხოლო 185 სმ-ის დაძლევის შემდეგ—ა. ზაუნიმასიც. ასპარეზზე მხოლოდ სპორტის ოსტატი რ. შავლაყაძე დარჩა. მან პირველსავე ცდაზე გადალახა 190 და 195 სმ. თამასა ასწიეს 2 მეტრზე. წარუმატებლად დამთავრდა პირველი ორი ცდა, მაგრამ მესამე ცდაზე მან სიმაღლე გადალახა. მიმდინარე სეზონში არავის დაუძლევია ეს სიმაღლე ღია ცის ქვეშ გამართულ შეჯიბრებაში.

არასპორტულად მოიქცა ჯ. ოდილავაძე. მას 80 მ თარჯრბენში შეჯიბრების დროს გაუსწრეს ს. სტანკუნაიტემ და ც. თეთრაძემ. იგი დარწმუნდა, რომ წინწასულებს ვერ გაასწრებდა და ფეხის დაზიანების საბაბით რბენა მიატოვა.

საქართველოს წარმომადგენლებმა განსაკუთრებით ისახელეს თავი ემანათრბენში 4×100 მ. (დებულების თანახმად გუნდი ემანათრბენში გამარჯვებისათვის იღებდა 10 ქულას, მეორე ადგილზე გამოსული — 6 ქულას). ჩვენი რესპუბლიკის ვაჟთა გუნდმა (ლ. ანთაძე, ზ. ჯარაშნელი, გ. თურმანიძე, რ. ტრაპაიძე) შედეგით — 42,8 და ქალთა გუნდმა (ზ. ხონინა, ნ. სუვერნიოვა, ა. ოვივიანი და გ. ფაროლდი) — 49,8 მოიპოვეს გამარჯვება.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსანთა ნაკრებმა 162 ქულით მოიპოვა გარდამავალი თასი, ლიტველებმა მოაგროვეს 143 ქულა.

ო. გელაშვილი

• • •

სურათებზე: მარცხნივ — ლ. ანთაძე ფინიშის ხაზთან. სტაიერებმა აიღეს სტარტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ცეცხლის ხაზზე

ხუთ დღეს გრძელდებოდა თბილისის მოზარდთა შეჯიბრება ტყვიით სროლაში. გამარჯვებისათვის იბრძოდნენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები. პროგრამაში იყო მცირეკალიბრიანი შაშხანიდან და პისტოლეტიდან სროლა და „ინგლისური მატჩი".

შეჯიბრების პირველ დღეს „დინამოს" კოლექტივმა პირველი ადგილი დაიკავა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში.

პირად პირველობაში ყველას აჯობა თბილისის განათლების განყოფილების გუნდის წევრმა ჯ. გალდავამ, რომელმაც სამივე მდგომარეობიდან სროლით 559 ქულა მოაგროვა, რაც 8 ქულით აღემატება მოზარდთა რესპუბლიკურ რეკორდს. გამარჯვებულს ერთი ქულით ჩამორჩა დინამოელი ვ. პოზდნიაკოვი.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სროლა მოძრავ სილუეტებზე სიზუსტესა და სისწრაფეს მოითხოვს. სპორტსმენმა უნდა მოასწროს სამი წამით გამოჩენილ სამიზნეებზე სროლა. აქ გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი აღმოჩნდა განათლების განყოფილების კოლექტივი.

პირად პირველობაში ყველაზე კარგი შედეგი — 264 ქულა ჰქონდა ცაპკინს (განათლების განყოფილება). რკინიგზის სასკოლო განყოფილების წარმომადგენელი მესხიშვილი გამარჯვებულს ჩამორჩა ოთხი ქულით, ხოლო კოპლატაძემ (განათლების განყოფილება), რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა, მოაგროვა 238 ქულა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს განათლების განყოფილების წარმომადგენლებმა. მეორეზეა „დინამო". რკინიგზელი მოსწავლეები გამოვიდნენ მესამე ადგილზე.

პ. ლეკიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

სპორტული ქრონიკა

გურჯაანი. სოფელ ველისციხის საკოლმეურნეო მოედანზე მოეწყო შეჯიბრება მძლეოსნობაში, რომელშიც 198 კოლმეურნე-სპორტსმენი მონაწილეობდა. შეჯიბრებაში კარგი სპორტული მომზადება გამოამჟღავნეს და მეორე თანრიგის ნორმატივი შეასრულეს გ. ბურდულმა და კ. იჩუაიძემ.

ი. ოდიშელიძე

• • •

ჩოხატაური. პიონერთა სახლის სპორტულ დარბაზში ჩატარდა შეჯიბრება პირად-გუნდურ პირველობაზე რაიონის მოსწავლეთა შორის.

შეჯიბრებაზე გოგონებს შორის პირველი ადგილი დაიკავა ზ. ხურცილავამ, ხოლო ვაჟებს შორის რაკუტუბიძემ. გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ჩოხატაურის I სკოლამ, მეორეზეა ერკეთის სკოლა.

გ. ახალაია

ოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). II პარტიაში, რომელიც 13 აპრილს შედგა, სმისლოვმა (შავებით) გრიუნფელდის დაცვა გაითამაშა. მსოფლიო ჩემპიონმა ორიგინალური გეგმის გატარებით ინიციატივიანი პოზიცია მიიღო, მაგრამ ეტლის დაწყებას აგვიანებდა. ამიტომ სმისლოვმა, რომელიც დაცვაზე იყო გადასული, ნელ-ნელა მოამზადა კონტრთამაში ლაზიერის ფრთაზე.

ბოტვინიკის თამაშს დამაჯერებლობა აკლდა, რასაც სმისლოვმა ლაზიერის ფრთის პაიკების შეტევით უპასუხა. მან ეტლები, მხედარი, ლაზიერიც გადმოიყვანა დაფის ამ ნახევარზე ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად. მსოფლიო ჩემპიონს მხოლოდ ის დარჩა, რომ გაცვლებით ნაწილობრივ მაინც შეესუსტებინა შავების შემოსევა. მან მიაღწია სასურველს — თანმიმდევრობით გაცვალა ეტლების ერთი წყვილი, ლაზიერები, შემდეგ ეტლების მეორე წყვილი. პოზიცია გამარტივდა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის პოზიციაში მრავალი სისუსტე იყო.

სმისლოვი, რომელიც განთქმულია ენდშპილში ვირტუოზობით, შეუდგა უპირატესობის გამოყენებას. მან გამსვლელი პაიკი მიიღო. ასეთ მდგომარეობაში პარტია გადაიდო.

14 აპრილს დილით ბოტვინიკმა სმისლოვს ყაიმი შესთავაზა. პრეტენდენტმა იგი არ მიიღო. საღამოს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოხდა ამ პარტიის დამთავრება.

სმისლოვმა მეთოდური თამაშით მოგების რეალური შანსები შექმნა. 70-ე სვლაზე ბოტვინიკი დანებდა.

ამრიგად, XVII პარტიის შემდეგ ანგარიშით 9,5:7,5 ბრძოლა მიჰყავს ვ. სმისლოვს.

დღეს შედგება XVIII პარტია, რომელშიც თეთრებით სმისლოვი თამაშობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14 აპრილს დილიდანვე დიდი გამოცოცხლება იყო თბილისის რკინიგზის № 1 სახელოსნო სასწავლებლის ტერიტორიაზე. ამ დღეს აქ ტარდებოდა ლენინის სახელობის რაიონის ახალგაზრდობის რაიონული ფესტივალი. ახალგაზრდების უჩვეულო გამოცოცხლებას აქ სხვა მიზეზიც ჰქონდა. მათ უნდა მიეღოთ საუკეთესო საჩუქარი— „შრომითი რეზერვების“ ახალი სტადიონი ფეხბურთის მწვანე მოედნით, სარბენი ბილიკებით და მძლეოსნური სექტორებით.

დღის 12 საათისათვის მინდორზე გამოვიდნენ ნაირფერ ტანსაცმელში გამოწყობილი ჭაბუკებისა და ქალიშვილების კოლონები. ფესტივალის მონაწილეებმა მაყურებლებს აჩვენეს თავიანთი შემოქმედება: ცეკვები, სიმღერები.

არა ნაკლებ საინტერესოდ ჩატარდა ფესტივალის სპორტული ნაწილი. მოედანზე გამოვიდა უმცროსი ასაკის გოგონათა ჯგუფი, რომელმაც დიდი სიმკვირცხლით შეასრულა ჯგუფური ვარჯიში.

მეტად საინტერესო სანახაობას წარმოადგენდა უფროსი ასაკის გოგონებისა და ჭაბუკების მიერ საკმაოდ ძნელი მასობრივი თავისუფალი ვარჯიში. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ ფეხბურთში, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნისა და „შრომითი რეზერვების“ გუნდები.

ა. ბარნოვი

* * *

სურათზე: ახალი სტადიონის ხედი.

ზონალური ტურნირი

VII ტურის წინ შეჯიბრების მონაწილე პირველთანრიგოსნებს გამოუცხადეს, რომ ოსტატობის კანდიდატობის ნორმის შესრულებისათვის 9,5 ქულაა საჭირო. ამან ახალი ძალა შემატა ახალგაზრდა მოჭადრაკეებს კიკიანსა და მნაცაკანიანს. მნაცაკანიანმა მოხდენილი კომბინაციით დაამარცხა აბაკაროვი, ხოლო კიკიანმა რთულ მდგომარეობაში გაბედულად შეწირა ეტლი სარქისიანს. როგორც შემდგომმა ანალიზმა ცხადყო, ეს კომბინაცია არ იყო სწორი. მაგრამ თამაშში სარქისიანმა ვერ გაბედა მისი აყვანა და წააგო პარტია.

ბუსლაევმა მოუგო ლომაიას, ხოლო ტაიმანოვმა ადვილად დაამარცხა ნაფტალინი. ყაიმით დასრულდა სარდაროვ-ჰალილბეილისა და ბაილე-ბაგიროვის პარტიები.

VIII ტურში ყველაზე ადრე დამთავრდა სომხეთის ჩემპიონის მიასნიკოვის შეხვედრა აბაკაროვთან. ლასკერის დაცვაში მიასნიკოვი (შავებით) მძლავრი იერიშის ქვეშ მოჰყვა და 31-ე სვლაზე პარტია წააგო.

რთული სტრატეგიული ბრძოლით დაიწყო სარქისიან-შიშოვის შეხვედრა. მანევრულ თამაშში თბილისელმა ოსტატმა გარკვეული უპირატესობა
მოიპოვა. სარქისიანი ბევრს ფიქრობ
და და 22-ე სვლაზე, როდესაც მ
10 წუთი ჰქონდა დარჩენილი, შე
დგომი წინააღმდეგობა უაზროდ ჩა
ვალა და დანებდა. მშვიდი თამაშ
შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ ბაგ
როვი-ბლაგიძე, კალაშიანი-კიკიანი
არონინი-ტაიმანოვი.

დემურიამ შავებით ბუსლაევ
წინააღმდეგ აქტიურად გაითამაშა ე
პანური პარტია. შუა თამაშში
ოდნავ უკეთეს პოზიციას ინარჩ
ნებდა. ამიტომ არ მიიღო მოწინააღ
დეგის მიერ შეთავაზებული ყაი
ენდშპილში (ამ დროს ბუსლაე
ცაიტნოტი ჰქონდა) დემურიამ ო
პაიკი მოიგო. ბრძოლა დამთავრ
ლამაზი საშამათო ქსელით, რომელშ
ბუსლაევის მეფე გაება.

* * *

სურათზე: გროსმაისტერი მ ტაიმანოვი (ზის მარჯვნივ) ტური დამთავრების შემდეგ არჩევს პარტიას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

სპორტულ საზოგადოებებში

„დინამო“

მოსკოვში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ცურვაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 150-მა სპორტსმენმა.

200 მ. ბატერფლაის სტილით ცურვაში წარმატებით გამოვიდა 16 წლის თბილისელი სპორტსმენი ლ. გიორგაძე, რომელმაც ამ დისტანციაზე აჩვენა პირველი თანრიგის შედეგი — 2.43,6, რაც ჭაბუკთა ახალი საკავშირო რეკორდია. ლ. გიორგაძემ მოიპოვა ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა. მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა მისმა თანაგუნდელმა ბ. კამენსკიმ ზურგზე ცურვაში. ფინალურ შეჯიბრებაში შედეგით 1.09,9 მან დაამარცხა საზოგადოების ჩემპიონი და რეკორდსმენი ლენინგრადელი გ. ნოვიკოვი და პირველი ადგილი დაიკავა.

200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გახდა ა. ანტონიანი (თბილისი), რომელმაც დისტანცია გაცურა 2.50,6-ში.

მოსკოვში დამთავრდა აგრეთვე „ნორჩი დინამოელის“ მოჭიდავეთა შეჯიბრება ჭიდაობა სამბოში. საერთო გუნდურ ჩათვლაში დიდი წარმატება ხვდა წილად საქართველოს „ნორჩი დინამოელის“ გუნდს, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. პირად ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეებიდან ჟუცნიაშვილმა დაიკავა პირველი, ნავროზაშვილმა, ოდიშვილმა და ოძელაშვილმა — — მეორე ადგილები, ხოლო ბესტავაშვილმა — მესამე ადგილი.

„კრასნაია ზვეზდა“

სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც მოსკოვში მოეწყო, მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, საქართველოს, კრასნოდარის, ვლადიმირისა და სხვ. გუნდები.

ჩინებული შედეგებით დაამთავრეს თავიანთი გამოსვლები საქართველოს მოჭიდავეებმა (მწვრთნელი ლ. ძეკონსკი). „კრასნაიაა ზვეზდაა“ ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ა. მუზაშვილმა (უმჩატესი წონა), ზ. დავლიანიძემ (მჩატე წონა), გ. იაკობაშვილმა (ქვემსუბუქი წონა), შ. პაპიაშვილმა (საშუალო წონა) და გ. სომხიშვილმა (ქვემძიმე წონა). ა. ოთარაშვილი (მსუბუქი წონა) და კ. კარიჭაშვილი (ქვესაშუალო წონა) გამოვიდნენ მეორე ადგილებზე.

საინტერესო პროგრამით

ამ დღეებში ასპინძის სპორტულ მოედნებზე გაიმართა შეხვედრები სხვადასხვა სახეობაში, რომელიც ახალგაზრდობის ფესტივალის პროგრამაში შედიოდა. ფრენბურთში, მონაწილეობდა სკოლებისა და კოლმეურნეობების ათი გუნდი, ჩემპიონის სახელი მოიპოვა ტოლოშის საშუალო სკოლის კოლექტივმა. ფეხბურთელთა ფინალურ შეხვედრაში ასპინძის საშუალო სკოლის კოლექტივმა დაამარცხა ოშორის კოლმეურნეობის ნაკრები.

ვ. ცინაძე

ორ სახეობაში

გუშინ, 15 აპრილს რუსთაველ
სახელობის სახელმწიფო თეატრ
გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისა
რუსთაველის სახელობის თეატრ
კოლექტივებმა მოაწყეს პრესისა
ხელოვნების მუშაკთა შეხვედრა.

კვირას, 14 აპრილს, გაიმართა ა
ვე კოლექტივების ამხანაგური შე
ვედრები ჭადრაკსა და მაგიდის ჩო
ბურთში.

შეჯიბრება ჭადრაკში მიმდინარ
ობდა რუსთაველის სახელობის
ხელმწიფო თეატრის საკონცერტ
დარბაზში. ანგარიშით — 7:3 გ
მარჯვეს რედაქციის წარმომადგ
ლებმა.

მაგიდის ჩოგბურთში შეხვედრებ
ჩასატარებლად მსახიობები სტუმ
ეწვივნენ რედაქციის სპორტსმენე
რედაქციის მუშაკებმა მატჩი მოი
ანგარიშით — 9:1.

თ. ბეგიაშვილი

ფინელი სპორტის მოყვარულები

ფინელები ცნობილი არიან არა მარტო კარგი სპორტსმენებით, არამედ სპორტისადმი სიყვარულითაც. ამის ნათელსაყოფად შეიძლება ერთი ფაქტის მოყვანა.

1956 წლის 24 ივნისს პატარა ქალაქ კუმოისტენში შუბის მტყორცნელმა სოინი ნიკინენმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 83,56 მ. შეჯიბრებას სულ 600-მდე მაყურებელი ესწრებოდა, მაგრამ სარეკორდო ნატყორცნმა ამ მცირერიცხოვანთა ისეთი სიხარული გამოიწვია, რომ ხმები სტადიონის ფარგლებს გასცდა და მახლობელ ქუჩებს მოედო. ცნობა ახალი მსოფლიო რეკორდის შესახებ ელვის სისწრაფით გავრცელდა ქალაქში, დაიკეტა მაღაზიები, რესტორნები, მოსახლეობამ თავი მიანება სამუშაოს. ყველა გაემართა სტადიონისაკენ, რათა რეკორდსმენისათვის მიელოცა ეს ახალი მიღწევა. ასეთი რამ იშვიათი არ არის ფინეთის სპორტულ ცხოვრებაში.

მოულოდნელი შეცდომა

ემილ ზატოპეკს, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, 1952 წელს ჰელსინკში ყველაზე ბევრი გულშემატკივარი ჰყავდა. მათ შორის იყო ერთი ფინელი ფოსტალიონი გვარად ვოიტო ტურკაინენი. იგი ამავე დროს თურმე, არაჩვეულებრივად ჰგავდა ზატოპეკს. ერთ დღეს ხალხმა ბაღში მოსეირნე ტურკაინენი ზატოპეკად მიიჩნია, აიტაცა იგი ხელში და თავშეუკავებელი ოვაცია გაუმართა. ფოსტალიონს დიდი ენერგიის დახარჯვა მოუხდა სანამ გაინთავისუფლებდა თავს პოლიციელების საშუალებით და განუმარტავდა ხალხს, რომ იგი ზატოპეკი კი არა უბრალო ფოსტალიონია. ოლიმპიური ჩემპიონი კი ამ დროს ისვენებდა ოტანიემში (ოლიმპიურ სოფელში).

მრავალრიცხოვანი მოგვარეები

გასულ წელს მშვიდობის ველორბოლაში შვეციიდან მონაწილეობდა ორი მეტად პოპულარული გვარის ველოსიპედისტი ანდერსონი და იოჰანსონი, მაგრამ ალბათ ყველამ არ იცის, რომ ომისწინანდელი სტატისტიკური მონაცემებით შვეციაში დაახლოებით 200 ათასი კაცი ატარებდა ანდერსონის გვარს. მათ შორის 17 ათასს სახელად კარლი ერქვა.

სწორედ ამის გამო შვეციის სპორტში ხშირად დიდ გაუგებრობას აქვს ადგილი. ცნობილია, რომ პოპულარულმა მძლეოსანმა იოჰანსონმა გამოიცვალა გვარი (სწორედ ამ მიზეზით) და მძლეოსნობის ისტორიაში შევიდა როგორც კელერნე. უნდა აღვნიშნოთ, რომ შვეციაში იოჰანსენის გვარით მძლეოსნობაში გამოდის 200-მდე მძლეოსანი და ყველა ისინი მონაწილეობენ იმ სახეობაში, რომელშიც უძლიერესად ითვლება კელერნე — საშუალო მანძილებზე რბენაში.

გულშემატკივრის პატიოსნება

ინგლისის ფეხბურთელთა კლუბის „ბრი
ტოლის“ მოლარემ ერთ დღეს ფოსტით მ
იღო ერთი გირვანქა სტერლინგი, რამდენი
დღის შემდეგ კი მოუვიდა წერილი, სადა
განმარტებული იყო ფულის გაგზავნის ს
იდუმლოება. წერილს სწერდა ამ კლუბ
ერთ-ერთი გულშემატკივარი.

გამოირკვა, რომ უცნობს „ბრისტოლის
ყველა თამაში ჰქონდა ნანახი და, რაც მთ
ვარია, ამ შეხვედრებს ესწრებოდა საკმაო
ორიგინალური ხერხით. იგი სტადიონზე შ
მოდიოდა ღობეში არსებული ხვრელით. ას
გზას გულშემატკივარი მიმართავდა იმიტო
რომ მას ბილეთის საყიდელი ფული
ჰქონდა. ახლა როდესაც მას საქმე გამოუ
წორდა, აღარ სურს თავის საყვარელ კლუ
თან ვალში ყოფნა და უბრუნებს უკანონო
წართმეულ თანხას.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 14
უე 0190